

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 122'

(29. 06. 2009 წ.)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ გაზეთ „24 საათში“ (26. 05. 09 № 115) გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ შეტანილი იქნა ცვლილებები აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის ვადებში და 2009 წლის 26 მაისს გამოქვეყნებული განცხადების მუხლი 1 ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1. განცხადებების მიღებისა და კონკურსის ჩატარების ვადები

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა (მათ შორის საკონკურსო ადგილების რაოდენობა და სხვა) და განცხადებების მიღება იწარმოებს საკონკურსო კომისიების მიერ 2009 წლის 13 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით, ყოველ დღე (დასვენებისა და უქმე დღეების გარდა), 10.00 საათიდან 15.00 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 8 აგვისტოდან 26 აგვისტომდე. საკონკურსო კომისიების მიერ კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება არა უგვიანეს 2009 წლის 26 აგვისტოს, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე [www. gtu.ge](http://www.gtu.ge).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი

(ა. ფრანგიშვილი)

აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

(გ. საღუქვაძე)